

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 23
(4793)

1973 წ.
3 თებერვალი,
შაბათი,
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Ооган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
18 აპრილიდან

ყველას თავისი გეგმა აქვს

თბილისის სპორტის სასახლეში გუშინ დაიწყო ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. ბალავაძის სახელობის პრიზზე. ასპარეზობაში, რომელიც წლეულს მეთორმეტედ იმართება, მონაწილეობენ სსრ კავშირის, ბულგარეთის, პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის, მონღოლეთის, კუბის, რუმინეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ირანისა და თურქეთის უძლიერესი ათლეტები — ისინი, ვისი ჩამოყვანაც საჭიროდ სცნეს ამ ქვეყნების ჭიდაობის მესვეურებმა.

ტურნირის მნიშვნელობასა და ავტორიტეტზე ლაპარაკიც ზედმეტია. ჩვენს დედაქალაქს ფაქტიურად მთელი საჭიდაო ელიტა (იაპონელთა გარდა) ეწვია და ამით გულწრფელად გამაყობთ, მაგრამ მთავარი ისაა, რომ შეჯიბრება საშუალებას გვაძლევს შევამოწმოთ რა მოხდა ახალი მიუნხენის ოლიმპიადის შემდეგ.

თბილისში სტუმრად ჩამოსული ყოველი მოჭიდავის წინაშე კონკრეტული ამოცანაა დასახული. ზოგი ძალებს სინჯავს მსოფლიოსა და ევროპის მომავალი ჩემპიონატების წინ, ზოგი უფრო შორს იყურება და XXI ოლიმპიადისთვის სამზადისითაა გართული, ზოგს კი ჯერჯერობით სურს ადგილი დაიმკვიდროს უძლიერესთა რიგებში. თბილისის საერთაშორისო ტურნირი ამ მხრივ იდეალური სარბიელია.

გუშინ დილით ასპარეზობაში დაბალი წონითი კატეგორიების მოჭიდავენი ჩაებნენ. უმჩატეს წონაში თავი გამოიჩინა ბულგარელმა ჰ. ისაევმა. მან წმინდად დაამარცხა თ. კუდელსკი (პოლონეთი).

52 კგ წონითს კატეგორიაში ტურნირის ერთ-ერთმა მასპინძელმა მ. ჩხაიძემ აშკარა უპირატესობით მოუგო პოლონელ ა. კუდელსკის. ა. იმანკულოვმა (სსრ კავშირი) დაამარცხა კ. ჯონსონი (აშშ), ხოლო ერთ-ერთმა ფავორიტმა ა. ალახვერდიევმა (სსრ კავშირი) ვადამდე მოახრევინა ქედი თანაგუნდელ ნ. ნიგმატულინს.

ლამაზი გამარჯვება მოიპოვა ი. ლევგაშვილმა (57 კგ) ჰ. მაიერის (გდრ) წინააღმდეგ ბრძოლაში. შერკინება მე-5 წუთზე შეწყდა. სსრ კავშირის გუნდის წევრმა ვ. იუმინმა ქულებით სძლია თბილისის საერთაშორისო ტურნირის 1970 წლის ჩემპიონს, ირანელ ჯ. აბდულბაგერს.

მომდევნო წონითს კატეგორიაში (62 კგ) ჭაბუკთა შორის მსოფლიოს ჩემპიონმა დ. ყვარელაშვილმა დაამარცხა საბჭოთა ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭიდავე ი. მამედოვი. ფავორიტების — ა. ბუგუბაევისა და რ. პლიევის (ორივე — სსრ კავშირი) ჭიდილმა უძლიერესი ვერ გამოავლინა. სამაგიეროდ, ბ. გაჯიევმა (სსრ კავშირი) ბეჭებზე დასცა პოლონელი ა. სტოლიარსკი.

ნ. ახვლედიანი.

სურათებზე: ზევით — ჩვენი სტუმრები; ი. იმანკულოვი ილეთს უტარებს კ. ჯონსონს; ქვევით — მ. ჩხაიძისა და ა. კუდელსკის შერკინების მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

ორ „ტაიმად"

დენვერი, 31 იანვარი. აშშ-სა და სსრ კავშირის მოკრივეთა გუნდების მატჩი ორ „ტაიმად" ტარდება. დენვერის რინგზე ხუთი წყვილი ავიდა — ანგარიშია 4:1 საბჭოთა ნაკრების სასარგებლოდ. მატჩის მეორე ნახევარი ქალაქ ომაჰაში გაიმართება.

პირველ ორ რაუნდში ბ. ზორიკტუევს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდა დ. პერმოსილოსთან (54 კგ-მდე): ამერიკელი ორჯერ აღმოჩნდა ნოკდაუნში, მაგრამ მესამე რაუნდში პერმოსილო გააქტიურდა და... ყველას გასაოცრად, მსაჯებმა გამარჯვება მას მიაკუთვნეს.

ა. ლევიშჩევმა (57 კგ-მდე) წარმატებით იასპარეზა რ. ჰარისთან. მეორე რაუნდის ბოლოს ბრძოლა შეწყვიტეს საბჭოთა მოკრივის აშკარა უპირატესობის გამო (ამ მომენტისთვის ამერიკელი უკვე სამჯერ იყო ნოკდაუნში).

დანარჩენმა სამმა საბჭოთა მოკრივემ ქულებით გაიმარჯვა: ა. კამნევმა (63,5 კგ-მდე) — ლ. ბონდსთან, ო. ტოლკოვმა (71 კგ-მდე) — ს. ჯექსონთან, ვ. მირონიუკმა (81 კგ-მდე) — დ. ბარკერთან.

ომაჰა, 1 თებერვალი. საბჭოთა და ამერიკელი მოკრივეების შეხვედრის მეორე, დასკვნითმა „ტაიმმაც", რომელიც ქალაქ ომაჰის (ნებრასკის შტატი) რინგზე გაიმართა, ტყავის ხელთათმნის საბჭოთა ოსტატებს მოუტანა გამარჯვება — 3:2. აქ გამოვიდა არა ექვსი (როგორც გათვალისწინებული იყო), არამედ ხუთი წყვილი — რინგის მასპინძლებმა მეტოქე ვერ მოუნახეს მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონს ბ. კუზნეცოვს. შეგახსენებთ, რომ დენვერში ანგარიში იყო 4:1, ესე იგი მეორე მატჩის საბოლოო შედეგია 7:3.

რინგზე პირველნი გამოვიდნენ ვ. ზასიპკო და ჯ. ტრუჰილიო (51 კგ-მდე). ზასიპკო უჩვეულო, უფრო მძიმე წონაში გამოდიოდა, მაგრამ მშვენივრად ჩაატარა ბრძოლა: ზუსტი დარტყმებით შეხვედრის დასაწყისში შეაჩერა ამერიკელის მძაფრი იერიში, შემდეგ თვითონ გადავიდა შეტევაზე და სამივე რაუნდში უპირატესობას მიაღწია, მსაჯებმა საბჭოთა ათლეტს ერთხმად მიაკუთვნეს ქულებით გამარჯვება.

ბ. ზორიკტუევმა (54 კგ-მდე) თავის ტანმორჩილ მოწინააღმდეგე მ. გლესს თავს მოახვია მისთვის არახელსაყრელი საშუალო და ახლო დისტანციებიდან ბრძოლა და ქულებით გაიმარჯვა.

ვ. ლვოვს (63,5 კგ-მდე) ძნელი მეტოქე შეხვდა — რ. ლიმირი, რომელსაც ძლიერი დარტყმა აქვს. ლვოვმა მის დაჟინებულ შეტევებს მოხერხებული დაცვითა და ოსტატურად გაცლით უპასუხა. მეორე რაუნდში საბჭოთა მოკრივე თვით დაეუფლა ინიციატივას და ორჯერ გაგზავნა მოწინააღმდეგე ნოკდაუნში. მესამე რაუნდში ამერიკელმა მსაჯმა საბჭოთა მოკრივის აშკარა უპირატესობის გამო ბრძოლა შეაჩერა.

საინტერესოდ წარიმართა ვ. პავლოვისა და ტ. დრეიკის (67 კგ-მდე) შეხვედრა. რინგზე გამოვიდა ორი სრულიად განსხვავებული სკოლის წარმომადგენელი. ბრძოლას სჯიდა საბჭოთა არბიტრი დ. პოზნიაკი. პირველმა ორმა რაუნდმა პავლოვის მცირე უპირატესობით განვლო, მაგრამ მესამეში დრეიკმა რამდენიმე შეტევის შედეგად შეხვედრის ბედი თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

საბჭოთა მძიმეწონოსნის ი. ნესტეროვის პირისპირ დადგა რ. ჯონსი, რომელიც მასზე სიმაღლითაც და წონითაც (25 კგ-ით) მეტი იყო. მიუხედავად ამისა, ნესტეროვმა კარგად ჩაატარა ბრძოლის დასაწყისი — მოხერხებულად გაურბოდა მეტოქის მძიმე დარტყმებს და თვითონაც აქტიურად უტევდა. მაგრამ პირველი რაუნდის ბოლოს ამერიკელის ერთ-ერთმა დარტყმამ ნესტეროვს მანამდე დაშავებული წარბი ისევ გაუხეთქა, მეორე რაუნდში ბრძოლა შეწყდა და გამარჯვება ჯონსს ხვდა.

ამრიგად, საბჭოთა მოკრივეებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ორივე მატჩი მოიგეს (ლას-ვეგასში გამართული პირველი მატჩის ანგარიშია 6:5).

ახალი ამბები-73

● **ბრატისლავა, 31 იანვარი.** ხელბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის სამგზის მფლობელი — კიევის „სპარტაკის" ქალთა გუნდი ამ პრიზის მორიგი გათამაშების ნახევარფინალში ჰოლანდიის „ნილოკ ამსტერდამს" შეხვდება. მეორე ნახევარფინალის მონაწილეთაგან ჯერჯერობით მხოლოდ ერთია ცნობილი: „სკ ლაიპციგი" (გდრ). ამ გუნდის მეტოქეს გამოავლენს მატჩი: „ფიფ კოპენჰაგენი" (დანია) — „უნივერსიტატეა ტიმიშოარა" (რუმინეთი). ორივე ნახევარფინალური შეხვედრა 11 მარტამდე უნდა გაიმართოს, ფინალი კი 1 აპრილსაა ბრატისლავაში.

● **ბონი, 1 თებერვალი.** დასავლეთ გერმანიაში სამივე ამხანაგური მატჩი, რომლებიც სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ჰესენის მიწის გუნდთან გამართა, სტუმრების გამარჯვებით დამთავრდა — 20:17, 22:19 და 20:13.

● **ვეიკ-ან-ზეე, 1 თებერვალი.** ჰოლანდიის ამ ქალაქში მოჭადრაკე ვაჟთა ტრადიციული საერთაშორისო „ჰოგოვენ-ტურნირის" XIII ტურში საბჭოთა დიდოსტატმა ბალაშოვმა ჰოლანდიელ რეეს აჯობა, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, რიგელმა ტალმა კი ლიუბოევიჩს (იუგოსლავია). მოსკოველმა ვასიუკოვმა გადადო პარტია ლანგევეგთან (ჰოლანდია). ფინიშამდე ორი ტურით ადრე ბალაშოვსა და ტალს 8,5-8,5 ქულა აქვთ, ვასიუკოვს — 7,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, ჰორტსა (ჩეხოსლოვაკია) და რიბლის (უნგრეთი) — 7,5-7,5.

ახალი ამბები-73

საქვეყნო შეტყობინება

8 თებერვალს

საქართველოს პროფსაბჭოს სხდომათა დიდ დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 19) ჩატარდება „განთიადის" VII რესპუბლიკური კონფერენცია.

დასაწყისი 12 ს.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲐ

ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲐᲒᲔᲑᲐ

ქიევი, 31 იანვარი. დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ადგილობრივი არმიელებისა და მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის გუნდის შეხვედრის პირველი ნახევარი. მართალია, მასპინძლები დაწინაურდნენ, მაგრამ ანგარიში (37:34) არც ისე საიმედო იყო. შესვენების შემდეგ არმიელებმა კიდევ უფრო მძაფრად შეუტიეს მეტოქეს და გაიმარჯვეს — 71:56.

მოსკოვი, 1 თებერვალი. გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი — კაუნასის „ჟალგირისი“ დღეს ადგილობრივ „დინამოს“ შეხვდა. სტუმრებმა თამაში მეორე შემადგენლობით დაიწყეს, რითაც კარგად ისარგებლეს დინამოელებმა და ხელთ იგდეს ინიციატივა: ტაიმის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე ლიდერი 18 ქულას აგებდა. დარჩენილ დროში მან სხვაობა ერთგვარად შეამცირა, მაგრამ პირველი ნახევარი მაინც 12 ქულით წააგო — 27:39.

შესვენების შემდეგ თამაშში ჩაება ლიტველთა ძირითადი ძალები, რომელმაც ნელ-ნელა დაიწყო მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიაღწია. „ჟალგირისს“ გამარჯვებისთვის დრო არ ეყო და სატურნირო ცხრილში პირველი ნული ჩაიწერა — 63:64.

ტალინი, 1 თებერვალი. ტარტუს „კალევისა“ და კიევის „სტროიტელის“ აქ გამართული ორთაბრძოლა უაღრესად მძაფრი გამოდგა. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 63:55 (28:25).

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 8 თებერვლისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„ჟალგირისი“	12	11	1	941—817	11
ცსკა	11	9	2	923—787	9
„სპარტაკი“	10	7	3	727—666	7
„დინამო“ (თბილისი)	11	7	4	772—772	7
„დინამო“ (მოსკოვი)	10	5	5	717—718	5
„სტროიტელი“	10	5	5	697—707	5
ასკ	11	4	7	692—735	4
რტი	12	3	9	887—972	3
„კალევი“	12	2	10	781—862	2
„ავტომობილ.“	9	1	8	616—717	1

ᲢᲢᲢ — ᲢᲤᲡᲔ 83:61

ბუდაპეშტი, 1 თებერვალი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა — რიგის ტტტ-ს ქალთა გუნდმა დამაჯერებლად მოუგო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების საპასუხო მეოთხედფინალური მატჩი ადგილობრივ ტფსე-ს — 83:61 (31:33).

უნგრეთის დედაქალაქის სპორტის სასახლეში გამართული მატჩის საუკეთესო სნაიპერი გამოდგა მსოფლიოში ყველაზე მაღალი კალათბურთელი ქალი უ. სემიონოვა — მან თავის გუნდს 38 ქულა შესძინა. უნგრეთის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის წევრთაგან საუკეთესო შედეგს მიაღწია ვარგამ — 16 ქულა.

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ“ — ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ

მილანი, 1 თებერვალი. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ნახევარფინალში ჩვენ ვიხილავთ ლენინგრადის „სპარტაკის“ ვაჟთა გუნდს, რომელსაც შინ 15-ქულიანი სხვაობით მოგებულმა პირველმა მატჩმა უშველა: დღეს აქ გამართულ განმეორებით მეოთხედფინალურ თამაშში ლენინგრადელები დამარცხდნენ ადგილობრივ „მობილკუატროსთან“ — 54:59 (25:26).

ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲘ

ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲛᲔᲢᲝᲥᲔᲐ „ᲘᲜᲘᲡᲘ“

მოსკოვი, 1 თებერვალი. სსრ კავშირის ჩემპიონმა — მოსკოვის ცსკა-მ მეორე მატჩიც მოუგო პრაღის „სლავიას“ და ლიდერობს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალურ ტურნირში. მაგრამ გამარჯვება ამჯერად გაცილებით ძნელი იყო, ვიდრე პრაღის მატჩში, რომელიც არმიელებმა 15 ქულით მოიგეს (94:79).

განმეორებით შეხვედრაში ბრძოლის ბედი გადაწყვიტა ს. ბელოვის ერთმა ზუსტმა სროლამ ბოლო წუთზე: სსრ კავშირის ჩემპიონმა გაიმარჯვა — 77:76.

არმიელებმა პრაღაში წარმატების შემდეგ, როგორც ჩანს, ჯეროვნად ვერ შეაფასეს მეტოქის შესაძლებლობანი, რომელთა ღირსებას სხვა ცნობილ კალათბურთელებთან ერთად იცავდნენ ზიდეკი და ზედნიჩეკი — ეროვნული ნაკრების წევრები.

პირველ ტაიმს მოსკოველები 7 ქულით იგებდნენ, მაგრამ „სლავიამ“ ზედიზედ 10 ქულა აიღო და შესვენებისთვის სამქულიანი მარაგი შექმნა. დაახლოებით 30-ე წუთისთვის სტუმრების უპირატესობა უკვე 12 ქულით გამოიხატებოდა. აი, სწორედ მაშინ შეიწუხეს თავი არმიელებმა.

გამარჯვებულთა შორის შედეგიანი თამაშით თავი გამოიჩინეს: ს. ბელოვმა (19 ქულა) და იასტრებოვმა (16), სტუმრებში — ზიდეკმა (28) და ზედნიჩეკმა (25).

მოსკოვის არმიელებს მეოთხედფინალურ ტურში ჩასატარებელი დარჩათ ორი ყველაზე პასუხსაგები მატჩი თასის ახლანდელ მფლობელთან — ვარესეს „ინისთან“ (იტალია). პირველი შეხვედრა გაიმართება მოსკოვში 7 თებერვალს, განმეორებითი კი ვარესეში ზუსტად ერთი კვირის შემდეგ.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲝᲨᲐᲨᲔᲗᲐ ᲞᲐᲔᲥᲠᲝᲑᲐ

ამას წინათ სამტრედიის საჭადრაკო კლუბში ჩატარდა „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა რუსულ შაშში. ტურნირში ათმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა.

გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავეს კასპის რაიონის, II — აჭარის, III — ზუგდიდის რაიონის მოშაშეებმა.

ვაჟთა შორის უძლიერესის სახელი დაისაკუთრა კასპელმა ტ. ყაზარაშვილმა. II-IV ადგილები გაიყვეს ო. ქეიანმა (ახალციხე), მ. სიჭინავამ (ზუგდიდის რაიონი) და ჯ. თედორაძემ (აჭარა).

ქალთა შორის ჩემპიონი გახდა ს. ჩლისტიატოვა (კასპი). II ადგილი ხვდა ნ. შანიძეს (აჭარა), III — ნ. მასურაძეს (სამტრედია).

შეჯიბრებამ სამტრედიელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. მაყურებლები შეხვედრებს სადემონსტრაციო დაფების მიხედვით ადევნებდნენ თვალს. მონაწილეებს თამაშის კარგი პირობები ჰქონდათ.

არ შეიძლება არ ითქვას, რომ ყველა მონაწილე თანრიგოსანი იყო, მაგრამ მათგან თითქმის ნახევარმა არ იცოდა პარტიის ჩაწერა. გასაკვირია ისიც, რომ 5 გუნდი არასრული შემადგენლობით ჩამოვიდა, ხოლო ზოგიერთმა რაიონმა, სადაც შაში პოპულარულია, საერთოდ არ მოავლინა მოშაშეები.

სასურველია, რომ ჩვენს საჭადრაკო კლუბში შემდგომშიც ჩატარდეს საინტერესო შეჯიბრებები.

ა. მაჩიტიძე,
პირველობის მთავარი მსაჯი.
სამტრედია.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲔᲑᲘ

1973 წლის 8 თებერვლისთვის

ᲫᲐᲚᲝᲡᲜᲝᲑᲐ

ᲕᲐᲟᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲘᲣᲜᲘᲝᲠᲔᲑᲘ

გარჯიში	შედეგი	რეკორდსმენი	დამყარების წელი
		ᲣᲛᲩᲐᲢᲔᲡᲘ ᲬᲝᲜᲐ	
ხტაცი	85,5	მ. ᲞᲐᲠᲗᲔᲜᲐᲫᲔ (ბათუმი, „განთიადი“)	1971
	80,0	ო. ᲙᲐᲠᲐᲘᲐᲜᲘᲓᲘ (სოხუმი, „განთიადი“)	1972
ბკვრა	112,5	ა. ᲩᲝᲚᲝᲙᲘᲐᲜᲘ (სოხუმი, „დინამო“)	1968
	100,0	ი. ᲚᲝᲒᲣᲜᲝᲕᲘ (თბ., „ლოკომოტივი“)	1971
ორჭიდი	195,0	საწყისი ნორმატივი	
	180,0	ო. ᲙᲐᲠᲐᲘᲐᲜᲘᲓᲘ (სოხუმი, „განთიადი“)	1972
		ᲛᲩᲐᲢᲔ ᲬᲝᲜᲐ	
ხტაცი	102,5	რ. ᲓᲐᲗᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ (თბ., „კოლმეურნე“)	1959
	87,5	ა. ᲥᲡᲝᲕᲠᲔᲚᲘ (ბათუმი, „კოლმეურნე“)	1972
ბკვრა	125,0	რ. ᲓᲐᲗᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ (თბ., „კოლმეურნე“)	1963
	112,0	ა. ᲥᲡᲝᲕᲠᲔᲚᲘ (ბათუმი, „კოლმეურნე“)	1972
ორჭიდი	225,0	საწყისი ნორმატივი	
	195,0	საწყისი ნორმატივი	
		ᲙᲕᲔᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲬᲝᲜᲐ	
ხტაცი	122,5	დ. ᲨᲐᲜᲘᲫᲔ (თბილისი, „განთიადი“)	1972
	93,0	ა. ᲙᲘᲠᲐᲙᲝᲡᲘᲐᲜᲘ (თბ., „სპარტაკი“)	1966
ბკვრა	156,0	დ. ᲨᲐᲜᲘᲫᲔ (თბილისი, „განთიადი“)	1972
	133,0	ა. ᲙᲘᲠᲐᲙᲝᲡᲘᲐᲜᲘ (თბ., „სპარტაკი“)	1965
ორჭიდი	275,0	საწყისი ნორმატივი	
	220,0	საწყისი ნორმატივი	
		ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲬᲝᲜᲐ	
ხტაცი	122,5	დ. ᲨᲐᲜᲘᲫᲔ (თბილისი, „განთიადი“)	1972
	111,0	ვ. ᲥᲐᲡᲝᲮᲝᲕᲘ (თბილისი, „სპარტაკი“)	1969
ბკვრა	156,0	ვ. ᲚᲝᲑᲟᲐᲜᲘᲫᲔ (რუსთავი, „განთიადი“)	1970
	145,0	ა. ᲙᲘᲐᲓᲘᲙᲝᲕᲘ (თბილისი, „განთიადი“)	1971
ორჭიდი	275,0	საწყისი ნორმატივი	
	250,0	საწყისი ნორმატივი	
		ᲙᲕᲔᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲬᲝᲜᲐ	
ხტაცი	137,5	დ. ᲒᲐᲒᲐᲫᲔ (ქუთაისი, „ლოკომოტივი“)	1972
	118,0	რ. ᲒᲐᲡᲞᲐᲠᲘᲐᲜᲘ (თბილისი, „სპარტაკი“)	1963
ბკვრა	171,5	გ. ᲙᲝᲩᲘᲔᲕᲘ (თბილისი, „სპარტაკი“)	1968
	145,0	ს. ᲕᲐᲠᲗᲐᲜᲘᲐᲜᲘ (ახალციხე, „სპარტაკი“)	1971
ორჭიდი	305,0	საწყისი ნორმატივი	
	257,5	საწყისი ნორმატივი	
		ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲬᲝᲜᲐ	
ხტაცი	145,0	ო. ᲓᲔᲛᲣᲠᲝᲕᲘ (თბილისი, „განთიადი“)	1972
	130,0	ვ. ᲙᲝᲩᲘᲔᲕᲘ (თბილისი, „სპარტაკი“)	1967
ბკვრა	184,5	გ. ᲙᲝᲩᲘᲔᲕᲘ (თბილისი, „სპარტაკი“)	1965
	172,5	მ. ᲥᲐᲡᲝᲮᲝᲕᲘ (ცხინვალი, „სპარტაკი“)	1972
ორჭიდი	320,0	საწყისი ნორმატივი	
	297,5	საწყისი ნორმატივი	
		ᲙᲕᲔᲛᲫᲘᲛᲔ ᲬᲝᲜᲐ	
ხტაცი	150,0	ო. ᲓᲔᲛᲣᲠᲝᲕᲘ (თბილისი, „განთიადი“)	1971
	150,0	რ. ᲢᲐᲠᲙᲘᲚᲘ (სოხუმი, „განთიადი“)	1971
ბკვრა	190,0	რ. ᲢᲐᲠᲙᲘᲚᲘ (სოხუმი, „განთიადი“)	1972
	187,5	რ. ᲢᲐᲠᲙᲘᲚᲘ (სოხუმი, „განთიადი“)	1971
ორჭიდი	340,0	რ. ᲢᲐᲠᲙᲘᲚᲘ (სოხუმი, „განთიადი“)	1972
	330,0	საწყისი ნორმატივი	
		ᲛᲫᲘᲛᲔ ᲬᲝᲜᲐ (ᲕᲐᲟᲔᲑᲘ)	
ხტაცი	160,0	ა. ᲯᲔᲯᲔᲚᲐᲕᲐ (თბ., „კოლმეურნე“)	1970
ბკვრა	200,0	ა. ᲯᲔᲯᲔᲚᲐᲕᲐ (თბ., „კოლმეურნე“)	1970
ორჭიდი	355,0	საწყისი ნორმატივი	
		ᲛᲫᲘᲛᲔ ᲬᲝᲜᲐ (ᲘᲣᲜᲘᲝᲠᲔᲑᲘ)	
ხტაცი	152,5	რ. ᲢᲐᲠᲙᲘᲚᲘ (სოხუმი, „განთიადი“)	1972
ბკვრა	190,0	რ. ᲢᲐᲠᲙᲘᲚᲘ (სოხუმი, „განთიადი“)	1972
ორჭიდი	337,5	საწყისი ნორმატივი	
		ᲖᲔᲛᲫᲘᲛᲔ ᲬᲝᲜᲐ (ᲕᲐᲟᲔᲑᲘ)	
ხტაცი	160,0	ა. ᲯᲔᲯᲔᲚᲐᲕᲐ (თბ., „კოლმეურნე“)	1970
ბკვრა	200,0	ა. ᲯᲔᲯᲔᲚᲐᲕᲐ (თბ., „კოლმეურნე“)	1970
ორჭიდი	355,0	საწყისი ნორმატივი.	

ᲚᲘᲓᲔᲠᲘ 13 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ

თბილისში გრძელდება „განთიადის“ საქალაქო პირველობა ჭადრაკში. ტურნირში 15 ვაჟი მონაწილეობს.

8 ტურის შემდეგ დაწინაურდა მე-100 საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე ზ. სტურუა — 6 ქულა 7-დან. ლიდერს კვალში მიჰყვებიან პირველთანრიგოსნები ვ. დუგლაძე და ი. კიკილაშვილი — 5,5-5,5 ქულა, ოსტატობის კანდიდატები ა. წერეთელი და ე. კუშჩიანი — 5-5 ქულა 7-დან.

პირველობა 10 თებერვლამდე გასტანს. ტურნირში I-VII ადგილებზე გასული მოჭადრაკეები „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პირველობაში ითამაშებენ.

ნ. სოროკინი,
სპორტის ოსტატი.

ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓᲐᲪ 6:0

ბაქო, 1 თებერვალი. დღეს აქ დამთავრდა ზამთრის საკავშირო გუნდური პირველობა ჩოგბურთში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვისა და ესტონეთის კოლექტივები (წინადღეს ესტონელებმა ნახევარფინალური მატჩი მოუგეს უკრაინის გუნდს — 5:3).

მოსკოველებმა ფინალური შეხვედრაც ალმავლობით ჩაატარეს და ამჯერადაც „მშრალი“ ანგარიშით გაიმარჯვეს — 6:0.

III ადგილისთვის ბრძოლაში უკრაინის ჩოგბურთელებმა რსფსრ-ს წარმომადგენლებს სძლიეს — 6:0.

3 თებერვალს დაიწყება პირადი ასპარეზობა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 24 ქალი და 32 ვაჟი.

ᲡᲔᲜᲡᲐᲪᲘᲐ „ᲐᲚᲑᲔᲠᲢ ᲰᲝᲚᲨᲘ“

ლონდონის „როიალ ალბერტ ჰოლში“ დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში როტმანის თასზე. ამ ტურნირში ბევრი გამოცდილი ჩოგბურთელი მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ ავსტრალიელი კ. როზუოლი, ამერიკელი ა. ეში, ტ. ოკერი (ჰოლანდია), ა. მეტრეველი (სსრკ)... მაგრამ ვერც ერთმა ზემოთ დასახელებულმა სპორტსმენმა ვერ შეძლო ფინალში გასვლა, ნახევარფინალამდე კი მხოლოდ ეშმა მიაღწია.

როტმანის თასი მოიგო 24 წლის ახალზელანდიელმა ჩოგბურთელმა ბრაიან ფეირლიმ, რომელმაც ფინალში მასპინძელ მარკ კოქსს სძლია — 2:6, 6:2, 7:6. საინტერესოა, რომ ახალგაზრდა სპორტსმენმა მეოთხედფინალში დაამარცხა მეორე ნომრად განთესილი 28 წლის ტომ ოკერი (6:4, 2:6, 6:2) და ნახევარფინალში საკმაოდ იოლად სძლია უძლიერეს ამერიკელ ჩოგბურთელს არტურ ეშს — 6:3, 6:2. ფეირლის ასეთი წარმატება სპეციალისტებს ტურნირის მთავარ სენსაციად მიაჩნიათ.

მეორე ფინალისტმა, ინგლისელმა კოქსმა მეოთხედფინალში მოუგო ამ ტურნირის ფავორიტს, ავსტრალიელ კენ როზუოლს — 7:5, 0:6, 6:4, ხოლო ნახევარფინალში 31 წლის ამერიკელ ჩოგბურთელს მარტი რისენს სძლია — 7:5, 3:6, 7:5.

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲝᲫᲛᲔ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲨᲘ

ᲛᲔᲓᲐᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲡ

საბჭოთა მეურნეობა „გროტინსკი“ მოწინავეა ჩეჩენ-ინგუშეთში. მეურნეობის დირექტორმა ა. კაგერმანოვმა სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავს დაუმატა ახალი ჯილდო — სპორტული: მას გადაეცა რუსეთის ფედერაციის სპორტსაზოგადოება „უროჟაის“ ცენტრალური საბჭოს საპატიო სახელობითი მედალი „ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების მიზნით აქტიური მუშაობისთვის“.

აული გოიტი, სადაც საბჭოთა მეურნეობაა განლაგებული, განთქმულია კლასიკური სტილის მოჭიდავეებით. მათგან ექვსი ჩეჩენ-ინგუშეთის ჩემპიონია. რსფსრ-ს ჩემპიონატში ამ აულს თითქმის ყველა წონაში გამოჰყავს ათლეტები.

ამ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა მეურნეობის დირექტორმაც, რომელიც მუდამ და ყველაფერში ეხმარება სპორტსმენებს. როცა საჭირო გახდა მოჭიდავეთა კვალიფიციური მწვრთნელი, მოიწვიეს მწვრთნელთა უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული ტ. იდიგოვი. კლუბში მყისვე გამოჰყვეს ოთახი სამეცადინოდ. ეს პირველ ხანებში. შემდეგისთვის, როგორც დირექტორი ამბობს, აიგება დიდი სპორტული დარბაზი. ჩეჩენ-ინგუშეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი კაგერმანოვი სიტყვას ქარს არ ატანს.

საბჭოთა მეურნეობას ჰყავს თავისი ფიზკულტურის მეთოდისტი — ა. ხემიევი.

— უკვე ასზე მეტმა კაცმა ჩააბარა მშდ კომპლექსის ნორმატივები, — ამბობს მეთოდისტი.

... დირექტორის კაბინეტში თვალსაჩინო ადგილზეა გამოფენილი საპატიო სიგელები საწარმოო მიღწევებისთვის. იქვე გამოუფენიათ სპორტული ჯილდოები. სიმბოლური მეზობლობაა.

გროზნო.

ᲢᲔᲠᲡᲙᲔᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲓᲒᲝᲛᲔᲑᲗᲐᲜ

ისიკ-კულის ნაპირებზე, ტერსკეის ქედის მისადგომებთან დაიწყო მთამსვლელთა საკავშირო ბანაკ „ალა-თოოს“ მშენებლობა. აქ მთებში, 4-5 ათას მეტრ სიმაღლეზე გაყვანილია რთული მარშრუტები.

ახალი ბაზა ხელს შეუწყობს მთამსვლელობის შემდგომ განვითარებას შუა აზიის რესპუბლიკებში და ყაზახეთში.

პრჟევალსკი,
ყირგიზეთის სსრ.

(საქდესი).

პენალტების სეტყვა!

სჭირდება კი იგი ფეხბურთს?

ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან რა მოულოდნელი სიახლეა შემოღებული წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში: ფრე აღარ იქნება. როგორც ფრენბურთში, კალათბურთში, ან, ვთქვათ, მაგიდის ჩოგბურთშია, ერთ-ერთმა მხარემ აუცილებლად უნდა გაიმარჯვოს. ბრძოლა მოგებამდე, არავითარი კომპრომისი.

დებულების ეს ახალი პუნქტი ეხება არა მარტო უმაღლესი ლიგის გუნდების გათამაშებას, ესე იგი უშუალოდ საკავშირო ჩემპიონატს, არამედ „ა" კლასის I და II ლიგებსაც. თუ ამას დავუმატებთ, რომ თასის შეჯიბრებაში, როგორც წესი, არ არსებობს ფრე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფრე ფეხბურთელთა საკავშირო შეჯიბრებებში საერთოდ აღიკვეთა. მოკვდა ფრე. ყოველ შემთხვევაში, წლეულს მაინც.

თამაში მხოლოდ გამარჯვებამდე — ასეთია დებულების ამ ახალი პუნქტის პრინციპი. კეთილი და პატიოსანი, გამარჯვებას რა სჯობს, მაგრამ მოგება ფეხბურთში ძლიერი გუნდისთვისაც არაა იოლი საქმე და გოლის გატანა აქ გაცილებით, განუზომლად უფრო ძნელია, ვიდრე ქულის აღება ფრენბურთში ან კალათბურთში. ამიტომ გამარჯვებულის გამოვლენა დამატებითი დროის საშუალებით არ მოხერხდება. შეგიძლია ორ დღეს ითამაშო, ანგარიში 2:2 კი ვერ შეცვალო.

რა საშუალებას მიმართეს ფეხბურთში გამარჯვებული გუნდის აუცილებლად გამოსავლენად, რახან ეს ასე ძნელი საქმეა? პენალტებს. თუ მატჩი ფრედ დამთავრდა, თუნდაც ანგარიში იყოს 3:3, მატჩის ძირითადი დროის დამთავრების შემდეგ, უკვე ცნობილი წესით, რომელიც ევროპულ საკლუბო ტურნირებშია მიღებული, სრულდება პენალტების სერიები ორივე კარში — 5-5 დარტყმა. თუ ახლაც ვერ დაწინაურდა რომელიმე მხარე 11-მეტრიანები გრძელდება თითო დარტყმით, სანამ გამარჯვებული არ გამოვლინდება.

დადგენილებაში მითითებულია ამ სიახლის მიზეზიც: „რათა მეტი სტიმული მიეცეს აქტიურ თამაშს".

კარგია ეს თუ ცუდი — პენალტების სეტყვა? რას მოუტანს იგი ფეხბურთს? საჭიროა თუ არა იგი საერთოდ?

პრეცედენტს სამამულო თუ უცხოური ფეხბურთის ისტორიიდან ვერ მოვიყვანთ, ვინაიდან ექსპერიმენტი ნოვატორულია, ამიტომ რეფორმის ავკარგიანობას გვაჩვენებს თვით ჩემპიონატი, როგორც იტყვიან, საქმე. მაგრამ, ვფიქრობთ, ჩვენი გაზეთის მკითხველებისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება გაეცნონ ფეხბურთის ცნობილი სპეციალისტების, მწვრთნელების, ვეტერანების, მსაჯების აზრს ამ საპენალტო გადატრიალებაზე. მით უმეტეს, რომ რედაქცია ყოველდღე მრავლად ღებულობს წერილებს, სადაც გულშემატკივრების უმრავლესობა შეშფოთებას გამოხატავს ფეხბურთში „ყაიმის სიკვდილის" თაობაზე.

სხვათა შორის, მოსკოვის „ლიტერატურნაია გაზეტამ" 24 იანვრის ნომერში მკვეთრად გაილაშქრა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის დებულებაში ამ ცვლილების მიმართ. გამოთქვა აზრი, რომ ამ გზით შედეგიანობის გაზრდა სასარგებლოს არაფერს მოუტანს საბჭოთა ფეხბურთს.

ჩვენი რედაქციის წარმომადგენელი ესაუბრა ფეხბურთის რამდენიმე სპეციალისტს, რომელთა შეხედულებებიც სამსჯავროზე გამოგვაქვს.

ბორის პაიჭაძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი

ფეხბურთი ჩვენს დღეებამდე მოვიდა მტკიცედ ჩამოყალიბებული, კონკრეტული წესებით და, ჩემი აზრით, არ საჭიროებს ისეთი რადიკალური ხასიათის რეფორმებს, როგორსაც ახლა გვთავაზობენ. სხვათა შორის, ჩვენში უწინაც იყო სხვადასხვა ორგანიზაციული ხასიათის „გადატრიალებათა" ცდები, მაგრამ სასურველი შედეგისთვის იშვიათად მიუღწევიათ. მაგალითად, ამ ათიოდე წლის წინ უმაღლესი ლიგის გუნდების რაოდენობა „რეფორმისტებმა" მცირედ მიიჩნიეს და იგი ოცდაორამდე გაზარდეს. ამ ნაბიჯის მცდარობა სულ მალე გამოვლინდა, ვინაიდან დაბალი კატეგორიის გუნდებს ისე არ აუმაღლებიათ კლასი, როგორც ძლიერებმა დააქვეითეს იგი, ხოლო პირველი და განსაკუთრებით მეორე ლიგების რიგების ხელოვნურმა ზრდამ გამოიწვია ის, რომ ფეხბურთს ჩვენში მოევლინა მდარე ხარისხის, უმეცარ მოთამაშეთა უთვალავი რაოდენობა. ოსტატთა გუნდებში ახლა ხშირად შეხვდებით ფეხბურთელს, რომელმაც ხეირიანად არ იცის ბურთის გაჩერება, მწვრთნელები კი იძულებული არიან ძირითად შემადგენლობაში იყოლიონ იგი.

ისეთი სერიოზული ცვლილება, როგორიცაა ფრეს გაუქმება ფეხბურთში, უნდა მოხდეს არა უცებ, უმაღლეს დონეზე, არამედ შემოწმდეს ჯერ რომელიმე პირველად საფეხურზე, „დაბლა", ახლანდელი რეფორმის თაობაზე კი, რამდენადაც ვიცი, სერიოზული საუბარი არ ყოფილა, არ მოუსმენიათ გამოცდილი სპეციალისტების, უფროსი მწვრთნელების, მცოდნე ხალხის აზრი. ახალი კანონი ეგრეთ წოდებული „თეორეტიკოსების" ძიებათა ნაყოფია.

ფეხბურთის არსი უბრალო და ყველასთვის გასაგებია: ბრძოლა თავდასხმასა და დაცვას შორის. ეს ბრძოლა შეიძლება იყოს უკიდურესად დაძაბული, მწვავე, უშეღავათო, და მეტოქე მხარეები მაინც „ბარი-ბარში" გამოვიდნენ. **ფრე ფეხბურთის ისეთივე ძირითადი შემადგენელი ნაწილია, როგორც მოგება და წაგება.**

შეიძლება ამ სიახლით აპირებენ ბრძოლას იმ „შეთანხმებლობის" წინააღმდეგ, რასაც ბოლო ხანებში ვხვდებით საფეხბურთო პრაქტიკაში, მაგრამ ეს სხვა საშუალებებით უნდა გაკეთდეს.

დაბოლოს, ხუთ-ხუთი პენალტი რადაა? თუ ასე საჭიროა გამარჯვებულის გამოვლენა, ეს შეიძლება თითო პენალტითაც, სანამ ერთი გუნდი არ გაუსწრებს მეორეს.

მიხეილ ბერძენიშვილი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი

11-მეტრიანი დარტყმა განსაკუთრებული ამბავია ფეხბურთში. ესაა სასჯელის უმაღლესი ზომა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში გოლით მთავრდება. თქვენ ხშირად ყოფილხართ მოწმე, როცა საჯარიმო მოედანზე წესის აშკარა დარღვევა ხდება, მსაჯი კი ვერ ბედავს პენალტის დანიშვნას. ის, რაც უყოყმანოდ აღინუსხება შუა მინდორზე, კარის სიახლოვეს სარისკო დასანიშნია. რამდენი პენალტი დაინიშნა შარშანდელი ჩემპიონატის მსვლელობაში? სულ 54. სხვა დროს ეს რიცხვი ნაკლებიც ყოფილა.

ახლა კი გვთავაზობენ 11-მეტრიანი უბრალო, ტრივიალურ ამბად იქცეს. ვერ მოიგებ მატჩს, მოდექი და ურტყი პენალტი, სანამ ქანცი არ გამოელევათ მოთამაშეებსაც, მსაჯსაც, მაყურებლებსაც. ფეხბურთის ეს უმაღლესი სასჯელი გაუფასურდება და დაკარგავს თავის მნიშვნელობას, სიმწვავეს. ყოველი საფეხბურთო გათამაშება ხანგრძლივი ტურნირია, სადაც მოგებაც არის, წაგებაც და ფრეც, ამიტომ აქვს აქ ბრძოლას საინტერესო, მრავალფეროვანი ხასიათი, **პენალტებით განსაზღვრული მოგება-წაგება კი ძალთა ნამდვილ შეფარდებას ვერ გამოავლენს.**

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, თუ ჩემპიონატში ფრე აღარ იქნა, რაღა საჭიროა გამარჯვებისთვის 2, დამარცხებისთვის კი 0 ქულის მიკუთვნება? გამარჯვებულს 1 ქულა უნდა დაეწეროს, ან პენალტებით მომგებს მიეცეს 1 ქულა, ძირითად დროში მატჩის მომგებს კი 2.

საინტერესოა, ჭადრაკის თეორეტიკოსებმაც რომ გადაწყვიტონ ყაიმის მოსპობა, როგორი „პენალტებით" გამოავლენენ გამარჯვებულს?

გრიგოლ გაგუა,
სპორტის დამსახურებული ოსტატი

რა! რამდენი ფრედ დამთავრებული მატჩი მახსოვს ჩემს ცხოვრებაში, რომლებსაც ვერც შინაარსით, ვერც სილამაზით, ვერც დაძაბულობით ვერ შეედრება მოგებული თამაშები. რატომ უნდა დაკარგოს ჩვენმა ფეხბურთმა ის, რაც საუკუნის მანძილზეა მიღწეული და მოპოვებული, რაც საერთაშორისო ფეხბურთში ცოცხლობს და მუდამ იცოცხლებს? მისი გაუქმება არავითარ შემთხვევაში არ მიმაჩნია მართებულად.

რას, ან უფრო სწორად, ვის ემსახურება ეს ახალი რეფორმა, რომლის დაკანონებასაც აპირებენ ჩვენში? ჩემი აზრით, იგი ხელს აძლევს დაბალი კატეგორიის, სუსტ გუნდებს და არ მოემსახურება აქტიური, აგრესიული, შედეგიანი თამაშის ინტერესებს. ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვან ასეთ მაგალითს:

თანაბარი ძალის გუნდები ფეხბურთში არ არსებობენ. უმაღლეს ლიგაშიც კი, სადაც საუკეთესონი არიან თავმოყრილი, გუნდების ერთი კატეგორია საგრძნობლად უფრო ძლიერია, ვიდრე მეორე. ახალი წესის შესატყვისად, სუსტი გუნდი ყოველნაირი საშუალებით შეეცდება გაამაგროს დაცვა, გააძლიეროს იგი წინა ხაზების მოთამაშეებით და არ გაუშვას გოლი, ესე იგი ყოველნაირი საშუალებით იბრძოლოს ნულიანი ანგარიშისთვის. მიაღწევს რა ამ ამოცანას, სუსტ გუნდს საშუალება ეძლევა გაიმარჯვოს კიდეც პენალტების მეშვეობით. ასეთი არასპორტული ამბების მოწმენი ჩვენ ალბათ არაერთხელ გავხდებით.

თუ ფრეს გაუქმებით სურთ მოსპონ მაქინაციები და ქულების აღებ-მიცემობა, რაც ზოგჯერ ხდება საბჭოთა ფეხბურთში, ყალთაბანდები აქაც იოლად მოძებნიან გზას, თუ დასჭირდათ: ჩემს მინდორზე მე გიგებ, შენსაზე — შენ.

ერთი სიტყვით, **ახალი კანონი სუსტებს შეუწყობს ხელს, ეს კი წინ ვერ წასწევს საბჭოთა ფეხბურთს.** ერთადერთი ისაა, რომ მაყურებელთა რიცხვს შეიძლება შეემატოს ნაწილი, რომელიც სენსაციების და „მწვავე განცდების" მოყვარულია. ფეხბურთის პროგრესისა და თამაშის კლასის ამაღლებისთვის მე მხოლოდ ერთი გზა ვიცი: ახალგაზრდა, პერსპექტიულ მოთამაშეთა ძიება, მათთან დაუღალავი, სისტემატური ვარჯიში, ყოველდღიური მეცადინეობა.

სერგო შუდრა,
სპორტის დამსახურებული ოსტატი

მე მეკარე ვიყავი და გამომიცდია პენალტის სიმწარე. ყოველ გუნდს ჰყავდა და ჰყავს თერთმეტმეტრიანის სპეციალისტები, გამორჩეული მოთამაშეები, რომლებსაც საგანგებოდ ანდობენ ამ გადამწყვეტ დარტყმას. პენალტის გამფუჭებელი ფეხბურთელი გასახდელში თვალს ვერ უსწორებს ხოლმე თავის ამხანაგებს.

ამავე დროს არიან მეკარეებიც, რომლებიც თავიდანვე ოსტატდებიან პენალტების მოგერიებაში, ასეთი იყო ოდესღაც მოსკოვის „სპარტაკის" მეკარე ქმელკოვი, მერე — იაშინი.

პენალტი ფეხბურთში საგანგებო მოვლენაა. ახლა კი სურთ იგი აქციონ რაღაც დამატებით, პარალელურ საშუალებად. პენალტის მოლოდინში მეკარეს მძიმე ფსიქოლოგიური განცდები აქვს, მომავალში კი შეიძლება მას ერთ თამაშში თითქმის ათჯერ მოუწიოს დგომა თერთმეტმეტრიან წერტილზე დადებული ბურთის წინაშე. აიღებს თუ ვერ აიღებს! აქ კი წაგება-მოგების საკითხი წყდება. **რატომ არ უწევენ ანგარიშს კორნერებს?**

არ შეიძლება პენალტის გაუფასურება. თუ ვინმეს სურს პარალელი გაავლოს ევროპულ საკლუბო ტურნირებთან ან თასის გათამაშებასთან, ეს არგუმენტად არ გამოდგება. იქ საჭიროა გამარჯვებულის გამოვლენა გათამაშების ყოველი მორიგი ტურისთვის, ჩემპიონატში კი ფრე დაკანონებული ამბავია და არ საჭიროებს ასეთ ამბებს. ამასთან, არ დაგავიწყდეთ, რომ ფრე ევროპულ ტურნირებშიც ძალაშია და მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში, იძულებით მიმართავენ პენალტებს.

პენალტი სასჯელის უმაღლესი ზომაა ფეხბურთში, სასჯელის უმაღლესი ზომის წინაშე კი არ შეიძლება ერთ მატჩში ათჯერ დააყენო ადამიანი.

„ლიტერატურნაია გაზეტამ" შემოგვთავაზა: სამი კორნერი — ერთი პენალტი! თქვენ რას იტყვით?..

სერგო სიხარულიძე,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი

საიმისო საბუთის მოყვანა, რომ მომავალი საფეხბურთო ჩემპიონატის სიახლე — ფრეს გაუქმება სპორტული თვალსაზრისით გამართლებული არ არის, მრავლად შეიძლება. ჩემმა კოლეგებმა აღნიშნეს საამისო არგუმენტები. პირადად მე ასეთ მაგალითს მოვიყვანთ:

თამაშობენ, ვთქვათ, „წითლები" და „ცისფრები". „წითლები" მეტოქეზე გაცილებით ძლიერნი არიან და 90 წუთის განმავლობაში თითქმის არ სცილდებიან მის კარს. უპირატესობა ცხადზე ცხადია, მაგრამ ბურთი, მოგეხსენებათ, მრგვალია. „წითლებმა" მხოლოდ ერთხელ შეძლეს ბურთის გატანა. 1:0. დარჩენილ დროში ერთ-ერთმა ეპიზოდურმა კონტრიერიშმა „ცისფრებს" წარმატება მოუტანა და მატჩი ფრედ დამთავრდა — 1:1. ინიშნება პენალტები. და აი აქ, **ადვილი შესაძლებელია ძლიერმა, რომელიც გამარჯვების ღირსი იყო, ქულაც დაკარგოს,** დაკარგოს არა ფეხბურთის თამაშის საყოველთაოდ მიღებული წესის, არამედ უცნაური დებულების გამო. სწორი იქნება ეს?

ამას გარდა, პენალტის შესრულებისას საგანგებო წესებია მეკარისთვის: მას უფლება არა აქვს კარის ხაზის წინ დადგეს, ფეხი მოინაცვლოს დარტყმამდე და ა. შ. ახლა, როცა თერთმეტმეტრიანები სერიების სახით შესრულდება, მსაჯს (ჩვენი მაყურებლები კი ხშირად არიან უკმაყოფილონი მსაჯთა არაობიექტურობით) საშუალება მიეცემა არასწორი გადაწყვეტილება მიიღოს ისე, რომ მაყურებელი ამას ვერც მიხვდება.

გიორგი ბაკანიძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი,
ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე

საკავშირო ჩემპიონატში ფრეს გაუქმების შესახებ საქმიანი საუბარი არ ყოფილა. ცვლილება დებულებაში დირექტივის სახით შეიტანეს.

ძალიან მიჭირს გამოვძებნო რაიმე არგუმენტი ამ სიახლის სასარგებლოდ, მის გასამართლებლად. ვითომ მეტი მაყურებელი მოვა სტადიონზე იმის მოლოდინში, რომ მატჩი ფრედ დამთავრდება და 10 პენალტი მაინც დაინიშნება? ვეჭვობ. ხომ გახსოვთ, თვით მოსკოვის ცენტრალურ სტადიონზეც ლატარია თამაშდებოდა ნაყიდი ბილეთების ნომრების მიხედვით, რათა ხალხი დაეინტერესებინათ ფეხბურთთან სრულიად დაუკავშირებელი მოგებით. ვერც იმ ღონისძიებამ იბოგინა დიდხანს. **მაყურებელი სტადიონზე მხოლოდ მაღალი კლასის, კარგი თამაშის სანახავად მოვა.** ლატარია კი სხვაც ბევრი თამაშდება ჩვენში.

რას გამოიწვევს სიახლე? იგი სტიმულს მისცემს სუსტ გუნდებს, რომლებიც „ყრუ დაცვის" საშუალებით შეეცდებიან ფონს გავიდნენ და პენალტებზე „მოითბონ" ხელი. შემტევი ფეხბურთის თამაში ძნელია, პენალტების გატანა კი უფრო იოლი. დაირღვევა სპორტული პრინციპი.

ყოველი საფეხბურთო კოლექტივის ხელმძღვანელობა გათამაშების დაწყების წინ ადგენს საერთო პერსპექტიულ გეგმას, ვარაუდობს სად გაიმარჯვებს, სად დამარცხდება, სად მიაღწევს ფრეს. ეს საერთო სატურნირო ტაქტიკაა, რომლის განხორციელებისთვისაც გუნდი სეზონის მანძილზე იბრძვის. ახლა ასეთი გეგმის შედგენა წყლის ნაყვა იქნება, ვინაიდან ვერაფრით დაგეგმავ სად მოგიწევს პენალტები, რა შედეგით დამთავრდება ეს სერიები.

გაუჭირდებათ სტატისტიკოსებსაც. როგორ გინდა აღნიშნო გათამაშების ნაერთ ცხრილში მატჩის ძირითადი დროის ანგარიში და შემდეგ გატანილი პენალტები?

ერთ მატჩში ორი პენალტის ამღები მეკარეები თითებზეა ჩამოსათვლელი. ყველას გვახსოვს ს. კოტრიკაძის, ვ. ბანიკოვის, რ. ურუშაძის, ზ. მილესის და ზოგიერთი სხვა მეკარის თავისებური სპორტული გმირობა. ახლა კი მეკარეს ერთ მატჩში შეიძლება ათობით თერთმეტმეტრიანის წინაშე მოუწიოს დგომა. რაღა ფეხბურთია!

ერთი სიტყვით, არა მგონია რეფორმამ გაამართლოს.

დებულების განმარტება

მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ცნობა, რომ სსრ კავშირის მომავალ ჩემპიონატში გაუქმებულია ფრე და გამარჯვების საკითხს პენალტების სერია გადაწყვეტს, ფეხბურთის მოყვარულნი მრავლად გვიგზავნიან წერილებს შეკითხვებით ცალკეულ საკითხებზე, მაგალითად, პენალტების სერიების შემდეგ რა ანგარიში ჩაიწერება გათამაშების ცხრილში, როგორ აღირიცხება ბურთების სხვაობა, ჩაეთვლებათ თუ არა პენალტებით გატანილი ბურთები ბომბარდირებს, ფედოტოვის სახელობის კლუბის პრეტენდენტებს, გამოიყენებენ თუ არა ამ კანონს საქართველოს ჩემპიონატში?

რედაქცია ამ საკითხზე დაუკავშირდა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციას და მიიღო შემდეგი განმარტებანი:

მატჩის საბოლოო შედეგი აღინიშნება პენალტების სერიების მიხედვით. მაგალითად, თუ 90 წუთი დამთავრდა ანგარიშით 2:2, პენალტები კი 5:4, ოქმში ჩაიწერება ანგარიში 7:6.

გუნდების ადგილები განისაზღვრება ყველა მატჩის შედეგად დაგროვილი ქულების ჯამის მიხედვით.

თუ ორ ან მეტ გუნდს ქულათა თანაბარი რაოდენობა აღმოაჩნდა, სსრ კავშირის ჩემპიონის გამოსავლენად დაინიშნება დამატებითი მატჩი (ან მატჩები) ამ გუნდებს შორის. შეჯიბრების ადგილი და პირობები განისაზღვრება საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოსა და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის სპეციალური გადაწყვეტილებით.

მეორე და მომდევნო ადგილები უმაღლეს ლიგაში, ყველა ადგილი I და II ლიგებში ქულათა თანაბრობისას განისაზღვრება გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობით გათამაშების ყველა მატჩის ძირითად დროში. თუ ეს მაჩვენებელი თანაბარი იქნა, ადგილები განისაზღვრება გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობით ამ გუნდებს შორის ნათამაშევი მატჩების ძირითად დროში და შემდეგ — გატანილი და მიღებული ბურთების საერთო უკეთესი სხვაობით ყველა თამაშში ძირითადი დროის შემდეგ 11-მეტრიანებით გატანილი და გაშვებული ბურთების მიხედვით.

ძირითადი დროის შემდეგ გატანილი ბურთები ბომბარდირებს და გ. ფედოტოვის სახელობის კლუბის პრეტენდენტებს არ ეთვლებათ.

საქართველოს ჩემპიონატში ფრე ძალაში რჩება.

რეფორმის პირველი ნაყოფი...

ლესელიძე, 31 იანვარი (ჩვენი სპეც. კორ.). შავი ზღვის სანაპიროზე მყოფი უმაღლესი ლიგის გუნდები შეუდგნენ ამხანაგური საწვრთნელი მატჩების ჩატარებას. საფეხბურთო მინდვრებზე მიმდინარეობს საინტერესო ბრძოლები, მეტოქენი ერთმანეთთან შეხვედრებში ცდიან ძალებს.

ყველაზე საინტერესო ამ მატჩებიდან, რა თქმა უნდა, შარშანდელი ჩემპიონატის პრიზიორების — კიევისა და თბილისის დინამოელთა შეხვედრა იყო.

მეტოქენი ასეთი შემადგენლობებით გამოვიდნენ მინდორზე: კიევი — რუდაკოვი, დამინი, რეშკო, ფომენკო, დოცენკო, ტროშკინი, მუნტიანი, კოლოტოვი, ბურიაკი, ვერემეევი, ბლოხინი; თბილისი — გოგია, ძოძუაშვილი, ხურცილავა, ჭელიძე, პეტრიაშვილი, გავაშელი, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია, ყიფიანი. არბიტრობდა საკავშირო კატეგორიის მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).

მატჩის დასაწყისი თბილისელთა დიდი უპირატესობით აღინიშნა. მათი სწრაფი, ხშირი იერიშები ყიფიანის ზუსტი დარტყმით დამთავრდა — 1:0. ცოტა ხნის შემდეგ გუცაევი გარღვევაზე გავიდა მარჯვენა ფლანგზე, მაგრამ კიეველებმა თავიანთ საჯარიმო მოედანზე მოცელეს იგი და მსაჯმა უყოყმანოდ დანიშნა პენალტი, რომელიც პეტრიაშვილმა ზუსტად დაარტყა — 2:0.

2:0 მატჩის დასაწყისში! საჭირო იყო ასეთი დებიუტის განმტკიცება და შემდგომ წარმატებაზე ფიქრი, მაგრამ თბილისელებმა ეს ვერ შეძლეს და ინიციატივას თანდათან კიეველები დაეუფლნენ. მალე ბლოხინმა გაქვითა ერთი გოლი, მერე კი კოლოტოვმა მეორეც. 2:2.

შესვენების შემდეგ გუცაევმა კვლავ დააწინაურა თავისი გუნდი, მაგრამ თბილისელებმა ვერც ამჯერად შეძლეს უპირატესობის შენარჩუნება: 75-ე წუთზე მუნტიანმა კვლავ გაათანაბრა ანგარიში — 3:3.

როგორც ახალი ჩემპიონატის დებულებითაა გათვალისწინებული, ძირითადი დროის დამთავრების შემდეგ დაინიშნა პენალტების სერია — 5-5 დარტყმა. კიეველებმა ხუთივე 11-მეტრიანი ზუსტად გამოიყენეს, თბილისელებმა კი 3 — ყიფიანის, ხურცილავასა და მაჩაიძის დარტყმები გოლებით დამთავრდა, პეტრიაშვილის დარტყმა აიღო რუდაკოვმა, გუცაევმა კი ძელს მოახვედრა ბურთი.

მატჩის საბოლოო ანგარიშია 8:6 კიეველთა სასარგებლოდ.

დუბლიორთა შეხვედრაც კიეველებმა მოიგეს — 4:1. თბილისელთაგან გოლი 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გაიტანა კუტივაძემ.

თ. ფციალაძე.

ფლემინგის რეკორდი გაიმეორა

ქალაქ ბლუმინგტონში (მინესოტის შტატი) „მეტროპოლიტენის" სპორტული ცენტრის დარბაზში გაიმართა აშშ-ს ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში.

როცა შეჯიბრების შემდეგ გორდონ მაკკელენ-უმცროსი თავის სიცოცხლეში პირველად ავიდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, ეს მოულოდნელობად არავინ მიიჩნია: აშშ-ს ჩემპიონი ხომ ისეთი ოჯახიდანაა, რომელსაც ფიგურულ ციგურაობასთან დიდი ხნის ისტორია აკავშირებს. ახალი ჩემპიონი გორდონ მაკკელენ-უფროსის ვაჟია. უფროს გორდონს ამერიკაში უფრო ტაფის სახელით იცნობენ, იგი 30-40-ანი წლების უპოპულარესი კლოუნი იყო, რომელიც თავის ბიძასთან ერთად წარმატებით გამოდიოდა აის-რევიუს პროგრამებში. სხვათა შორის, მაკკელენ-უმცროსის დედაც ცნობილი პროფესიული მოციგურავე გახლდათ.

მაგრამ დროა შეჯიბრების მსვლელობას მივყვეთ. ახლახან დამთავრებულ შეჯიბრებაში 19 წლის მაკკელენმა არაორაზროვნად დაგვანახა: ახლა ჩემი ჯერი დადგაო. იგი უძლიერესი იყო „სკოლაში", მოკლე ნებისმიერ პროგრამაში, ხოლო ნებისმიერი კომპოზიციის შესრულებისთვის ტექნიკაშიც და არტისტულობაშიც შვიდივე მსაჯმა მას 5,9 ქულა მისცა. გორდონ მაკკელენმა 192,73 ქულა მოაგროვა (ადგილების ჯამი — 7).

II ადგილზე გავიდა ბობ ბრედშოუ — 189,43 ქულა (ადგილების ჯამი — 16), ხოლო ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა იუნიორთა შორის აშშ-ს 1971 წლის ჩემპიონს დევიდ სენტის.

ქალთა შორის ბადალი არ ჰყავდა (უკვე მეხუთე წელიწადს ზედიზედ!) 19 წლის ჩიკაგოელ სტუდენტს ჯანეტ ლინს. ამ ახალგაზრდა, მშვენიერმა სპორტსმენმა პეგი ფლემინგის რეკორდი გაიმეორა, რომელიც აგრეთვე ხუთჯერ ზედიზედ ფლობდა აშშ-ს ჩემპიონის ტიტულს. როცა ლინმა დაამთავრა თავისი ნებისმიერი პროგრამა ვალსის რიტმში, 10 ათასი აღფრთოვანებული მაყურებელი ფეხზე ადგა და ოვაცია მოუწყო. ტექნიკაში ყველა არბიტრმა ჩემპიონს 5,9 ქულა მისცა, არტისტულობაში კი ოთხმა მსაჯმა — 5,9 ქულა, ხოლო დანარჩენმა სამმა უმაღლესი შეფასება — 6,0 ქულა! პრესა აღნიშნავს, რომ ლინს ასე კარგად არასდროს უასპარეზია.

ვერცხლის მედალი დოროტი ჰემილმა მიიღო (მსაჯებმა მასაც ერთობ მაღალი შეფასებები მისცეს — 5,8 და 5,9 ქულა). III ადგილზე ჯული მაკკინსტრი გავიდა.

წყვილთა სრიალში მელისა და მარკ მილიტანოებმა იმარჯვეს. სპორტულ ცეკვაში ჩემპიონობა მოიხვეჭეს მერი-კარენ კემპბელმა და ჯონი ჯონსმა. მეორენი იყვნენ ენ და ჰარვი მილიერები.

რაინდი ვოლოდიევსკის სამშობლოდან

ფარიკაობას, სპორტის ერთ-ერთ უძველეს და ლამაზ სახეობას, ჰყავს თავისი „კლასიკოსები". ისინი ბევრნი არიან. ისინი მოდიან საუკუნეთა სიღრმიდან, ძლიერნი, უშიშარნი, კეთილშობილნი. ჩვენს დროში დაშნამ სულ სხვა აზრი და შინაარსი შეიძინა. ფარიკაობა იქცა სანახაობად, წარმტაც სპორტულ დღესასწაულად, ყველა დღესასწაულს კი თავისი მედროშენი ჰყავს, ისინი ჩვენს „პრაქტიკულ" საუკუნეშიც მრავლად არიან. საკმარისია დავასახელოთ მანჯეროტი, დ'ორიოლა, კარპატი, პავლოვსკი, რილსკი, ჟდანოვიჩი, კოსტავა და სხვები, რომ თვალნათლივ წარმოგვიდგება ფარიკაობის რომანტიკით აღსავსე სამყარო.

დიახ, ფარიკაობას უწინაც მრავლად ჰყოლია კერპები და არც ატომის საუკუნეში ელევა ისინი. ვინ არიან ეს უშიშარი რაინდები? მათ ხატოვნად „ახალ ტალღას" ვეძახით. მათი მახვილი კაშკაშებს თანამედროვე ოლიმპიადებსა და მსოფლიო ჩემპიონატებში, დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში. ისინი უფრო მეტნი არიან, ვიდრე ოდესმე, ხოლო დღეს ფარიკაობას ჰყავს უფრო მეტი თაყვანისმცემელი და მიმდევარი, ვიდრე ოდესმე ჰყოლია. მრავლდება მუშკეტერთა რიგები, იზრდება კონკურენცია... ძნელია, წარმოუდგენლად ძნელია იბრძოლო მსოფლიოს პირველი რაპირის სახელისთვის.

აი, ჩვენ მივადექით კიდეც სათქმელს. ათასობით საუკეთესო რაპირისტმა მიუნხენის ოლიმპიადაზე მიავლინა თავისი საუკეთესო წარმომადგენლები. აქ იყვნენ ელეგანტური ფრანგები მანიანი და ნოელი, შეუპოვარი უნგრელი კამუტი, დინჯი გერმანელი ვესელი, საბჭოთა ფარიკაობის დიდოსტატები სტანკოვიჩი, კოტეშევი, დენისოვი... ამ კომპანიაში გამოირჩეოდა ტანმორჩილი, ვერცხლისწყალივით მოუსვენარი, მკვირცხლი პოლონელი ვიტოლდ ვოიდა. ის ჩემპიონი გახდა...

ვინ ხარ შენ, ვიტოლდ ვოიდა?

ვარშაველი, დამთავრებული აქვს იურიდიული ფაკულტეტი და ფიზიკური აღზრდის აკადემია. მისი ბედი, რომ ცრუმორწმუნე არ არის. სხვანაირად მსოფლიო ჩემპიონატებისა და ოლიმპიური თამაშების 13 მედლის მფლობელს, ცოტა არ იყოს, ნირი წაუხდებოდა მიუნხენის ოლიმპიადის წინ.

ბავშვობაში, როგორც ალბათ ყველა მოფარიკავე, გატაცებით კითხულობდა დარტანიანის, რობინ-ჰუდისა და პან ვოლოდიევსკის თავგადასავალს. შემდეგ კი იყო ფარიკაობის დარბაზი, ვარჯიში, შეჯიბრებები, გამარჯვებით მიღებული სიხარული და მარცხით გამოწვეული სინანული. ის არ ჰგავს შუა საუკუნეების რაინდებს. არ ჰგავს ახოვნებით, მაგრამ მასში იმთავითვე იყო შემართება, ვაჟკაცობა, უშიშარი და მედგარი ბუნება. ერთი შეხედვით სუსტ სხეულში ბობოქრობდა ამაყი და შეუპოვარი მებრძოლი სულისკვეთება, რომელიც გაცილებით ტანად მუშკეტერებს აიძულებდა დამარცხების ნიშნად „დაეხარათ" რაპირა.

ვინ ხარ შენ, ვიტოლდ ვოიდა?

ის არ გადმოსულა შუა საუკუნეების რომანების ფურცლებიდან, ის არის თანამედროვე ფარიკაობის რეალური გმირი. თუმცა, თავისი რაპირის ძალა და ძლევამოსილება უჩვენა შუა საუკუნეების რაინდთა კლასიკურ მხარეში — ბავარიაში. მან გაიმარჯვა. გამარჯვება იყო ერთობ რთული და ძნელი. 19 წელიწადს მიდიოდა ამ ტრიუმფისკენ ვარშაველი მუშკეტერი. 19 წელიწადს ილტვოდა ტანმორჩილი, მაგრამ ძალგულოვანი, შეუპოვარი, მკვირცხლი პოლონელი სანუკვარი მიზნისკენ.

იქნებ ბედმა გაუღიმა, იქნებ მისი მრისხანე მეტოქეებიდან ზოგიერთს უფრო ეკუთვნოდა წარმატება, მაგრამ ოლიმპიურ თამაშებში შემთხვევით არავინ იმარჯვებს და, მით უმეტეს, მედლებს არავინ არიგებს.

მე მახსოვს იგი, მხიარული, ხუჭუჭთმიანი, ქერა ვიტოლდი. იგი მაშინ 13 წლით ახალგაზრდა იყო და იქნებ ამიტომაც მომეჩვენა ბრძოლის დროს ჭაბუკურად აზარტული და თავდავიწყებული.

ვინ ხარ შენ, ვიტოლდ ვოიდა?

მისთვის ფარიკაობაში არავითარი საიდუმლო არ არსებობს, მან დაუბრუნა პოლონეთს „თავისი" დროებით დაკარგული ოქროს მედალი. აკი 1964 წელს ტოკიოში პოლონელმა ეგონ ფრანკემ აალაპარაკა ფარიკაობის სამყარო, მერე კი მეხიკოში რუმინელმა დრიმბამ „მოიპარა" ოქროს რაპირა. მიუნხენში ეს რაპირა დაიბრუნა ვოიდამ პან ვოლოდიევსკის სამშობლოდან.

ა. გოგელია,
სპორტის ოსტატი.

* * *

სურათზე: ვ. ვოიდა თავისი ერთ-ერთი სპორტული ნადავლით.

საქდესის ფოტო.

ოლიმპიადა მონრეალში: ჰო თუ არა?

ოტავა, 31 იანვარი. მონრეალში 1976 წლის საზაფხულო ოლიმპიური თამაშების ჩატარების საკითხი კანადაში ისევ ფართო განხილვის საგანია. თემთა პალატაში გამოსვლის დროს პრემიერ-მინისტრმა პ. ტრიუდომ განაცხადა, რომ მთავრობა არ აპირებს ფინანსური დახმარება გაუწიოს ოლიმპიადის ორგანიზატორებს. ასიგნებათა წინააღმდეგ გამოვიდა ოპოზიციური კონსერვატული პარტიის ლიდერი რ. სტენფილდიც.

ამ განცხადებებმა თითქოს ვერ შეაშფოთეს მონრეალის მერი ჟ. დრაპო და ოლიმპიური თამაშების გენერალური კომისარი რ. რუსო. მათ რწმენა გამოთქვეს, რომ საორგანიზაციო კომიტეტი მთავრობის დაუხმარებლადაც იოლად გავა და მომავალი ოლიმპიადის ბიუჯეტი გამოაქვეყნეს. ხარჯები 310 მილიონი დოლარის ოდენობითაა განსაზღვრული. საორგანიზაციო კომიტეტი იმედოვნებს, რომ ამ თანხას ლატარიის დახმარებით, ნიშნების, მარკებისა და სხვა სუვენირების გაყიდვით, აგრეთვე, შესასვლელი ბილეთებისა და ტელევიზიის შემოსავლით მოაგროვებს.

მაგრამ კანადის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ „ფედერალური ექსპერტები, რომლებმაც თამაშების საკითხი შეისწავლეს, თვალსაჩინო დეფიციტს ვარაუდობენ". ოლიმპიური ხარჯების დასაფარავად ყველა ზომაზე მთავრობა ნებართვას არ გასცემს, თუ ორგანიზატორები წერილობით დაპირებას არ წარმოადგენენ, რომ ქვეყანას არავითარ ფინანსურ უღელს არ დაადგამენ.

მეთვალყურეები აღნიშნავენ, რომ ოლიმპიადის სუბსიდირების გარშემო დისკუსიაში კვლავ თავი იჩინა შიშმა, რომელიც დასავლეთის ქვეყნებში სავალუტო-საფინანსო კრიზისის გაძლიერებითაა გამოწვეული.

ამასობაში მონრეალში ოლიმპიადის ჩატარების მოწინააღმდეგეებმა ფართო კამპანია გააჩაღეს, აქაოდა, თამაშები მაინც შეეხება ბეგარის გადამხდელთა ჯიბესო. მღვდელ დ. სტერლინგის მეთაურობით სპეციალური კომიტეტიც კი შეიქმნა, რომელიც ოლიმპიადის ყველა მოწინააღმდეგის გაერთიანებას აპირებს.

მონრეალის „გაზეტმა" საზოგადოებრივი გამოკითხვა ჩაატარა. მისი ანგარიშით, ყველა კანადელის 59 პროცენტი და კვებეკის პროვინციის მცხოვრებთა 70 პროცენტი ოლიმპიადის მომხრეა.

გაზეთი „ოტავა ჟორნელი" აკრიტიკებს ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელთა უარყოფით პოზიციას და მოწინავე წერილში წერს: „მათ ბოლოს და ბოლოს უნდა თქვან, რის გაკეთებას აპირებენ ოლიმპიადის წარმატების უზრუნველსაყოფად". გაზეთი ხაზს უსვამს, რომ ოლიმპიური თამაშები ვეებერთელა საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენაა, მათი ჩატარება კი მთელი კანადის პრესტიჟის საქმე.

(საქდესი).

ძალიან საეჭვოა

ლოზანა, 1 თებერვალი. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შტაბ-ბინის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამერიკის ქალაქ ლეიკ-პლესიდის კანდიდატურა, რომელიც 1976 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლად წამოაყენეს, ძალიან საეჭვო ჩანს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ქალაქის შესაძლებლობები სათანადოდ გამორკვეული არ ყოფილა.

— განაცხადების შეტანის ვადა 15 იანვარს მიიწურა. მანამდე ლეიკ-პლესიდის თაობაზე არავითარი ოფიციალური შუამდგომლობა არ მიგვიღია, — თქვა სოკ-ის წარმომადგენელმა.

სოკ-ის აღმასკომი სულ მალე შეიკრიბება კანდიდატურების განსახილველად.

(საქდესი).

2:2

ათენი, 1 თებერვალი. საბერძნეთისა და ბულგარეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების აქ გამართული ამხანაგური მატჩი ფრედ დამთავრდა — 2:2.

ანგარიში მე-3 წუთზე გახსნა ბულგარელმა პეტკოვმა, მაგრამ 10 წუთის შემდეგ სარაფისმა საპასუხო გოლი გაიტანა. მე-16 წუთზე ელეფთერაკისმა მასპინძლები დააწინაურა და ახლა, პირველი ტაიმის მიწურულს, სტუმრებმა გაათანაბრეს ანგარიში (ბონევი).

ბერძნებისთვის ეს იყო ბოლო რეპეტიცია ესპანეთის ნაკრებთან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის წინ, რომელიც 21 თებერვალს გაიმართება. პირველი თამაში ბერძნებმა წააგეს — 2:3.

გამარჯვება ოთხივე ტრამპლინზე

ენგელბერგის, სანქტ-მორიცის, გშტადისა და ლე-ლოკლის ტრამპლინებზე დამთავრდა ტრადიციული „შვეიცარიული ტურნე". შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ევროპის უძლიერესი „მფრინავი მოთხილამურეები", რომელთა შორის იყვნენ საბჭოთა კავშირის წარგზავნილებიც. სარბიელზე იაპონელი სპორტსმენებიც გამოვიდნენ.

წლევანდელი ტურნირი სენსაციით აღინიშნა: პირველად ამ შეჯიბრებების მრავალწლიან ისტორიაში ოთხივე ტრამპლინზე ერთმა სპორტსმენმა გაიმარჯვა. ესაა 22 წლის ფინელი „მფრინავი მოთხილამურე" ტ. კიაიუპკიო.

აი, როგორ წარიმართა ბრძოლა თითოეულ ტრამპლინზე:

პირველი ტური ენგელბერგის 90-მეტრიან ტრამპლინზე მოეწყო. კიაიუპკიომ 253,5 ქულა მოაგროვა. პირველი ნახტომით 116,5 მეტრზე მან ტრამპლინის რეკორდი დაამყარა, მეორედ კი 107 მეტრზე გადახტა. II ადგილზე 241,2 ქულით ნორვეგიელი ნ. სკარსეტი გავიდა (ნახტომები — 111,5 და 105 მ), ხოლო III ადგილი შვეიცარიელ ჰ. შმიდტს ხვდა. იგი ჯერ 110 მეტრზე გადახტა, მერე კი 106-ზე მსაჯებმა ეს ნახტომები 237,5 ქულით შეაფასეს.

ამ სპორტსმენთა გარდა, პირველ ექვსეულში შევიდნენ: რ. ნორდგრენი (შვეცია) — 235,6 ქულა (ნახტომები — 107 და 108 მ), კ. კოდეიშკა (ჩეხოსლოვაკია) — 235,0 ქულა (103 და 106 მ) და ტ. პავლუსიაკი (პოლონეთი) — 226,1 ქულა (107 და 103 მ).

საბჭოთა სპორტსმენმა ა. ჟევლანოვმა 214,2 ქულა დააგროვა (99,5 და 102 მ) და IX ადგილზე გავიდა. საპოროს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა, იაპონელმა ა. კონომ უხეიროდ იასპარეზა და მხოლოდ XIX ადგილზე აღმოჩნდა.

მეორე ტური 1948 წლის V თეთრი ოლიმპიადის მასპინძლის სანქტ-მორიცის 70-მეტრიან ტრამპლინზე ჩატარდა.

კიაიუპკიო ორივეჯერ 86 მეტრზე გადახტა და 241,6 ქულა დაიმსახურა. ჟევლანოვმა ამჯერად კარგად იასპარეზა: 227,9 ქულა მიიღო (ნახტომები — 85 და 82,5 მეტრზე) და II ადგილი დაიკავა. III ადგილზე ჩეხოსლოვაკიელი რ. ჰიონლი გავიდა. მისი ნახტომები 85,5 და 85 მეტრზე მსაჯებმა 225,2 ქულით შეაფასეს.

როგორც ხედავთ, ჰიონლის ნახტომები ჟევლანოვისაზე გრძელი იყო, მაგრამ საბჭოთა სპორტსმენის სტილი ჩეხოსლოვაკიელისას სჯობდა და ამიტომ მან უფრო მაღალი შეფასება მიიღო.

ნორდგრენმა და კოდეიშკამ პირველ ტურთან შედარებით ადგილები გაცვალეს: კოდეიშკა 224,6 ქულით (84 და 83 მ) ამჯერად მეოთხე იყო, ნორდგრენი ორჯერ გადახტა 85 მეტრზე და კოდეიშკას მხოლოდ 0,2 ქულით ჩამორჩა.

VI ადგილზე გავიდა რ. ბაჰლერი (ავსტრია) — 224,2 (ორივეჯერ — 84 მ).

ისევე როგორც ენგელბერგში, იაპონელი „მფრინავი მოთხილამურეები" ცუდად გამოვიდნენ: კონო 212,0 ქულით XIII ადგილზე გავიდა, საპოროს ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი ს. აოტი კი XXII — 200,7 ქულა.

ორი ტურის შემდეგ დაწინაურდა კიაიუპკიო — 497,1 ქულა. მეორე იყო შმიდტი — 460,4 ქულა, მესამე — ნორდგრენი — 460,0.

გშტადის 70-მეტრიან ტრამპლინზე (სადაც III ტური გაიმართა) გამარჯვების შემდეგ ფინელ სპორტსმენს თითქმის უზრუნველყოფილი ჰქონდა ტურნეში გამარჯვება — 239,5 ქულა მიიღო (81 და 82 მ) და ლიდერობა განიმტკიცა.

მეორე იყო შმიდტი — 236,8 ქულა (80,5 და 82 მ). მესამე კი ჰიონლი — 231,5 ქულა (79,5 და 81 მ). IV ადგილზე შვეიცარიელი ვ. შტაინერი გავიდა — 228,2 ქულა (78,5 და 80 მ), V — ო. გრეტე (ნორვეგია) — 222,6 ქულა (77 და 80 მ), ხოლო VI — კოდეიშკა — 217,8 ქულა (76,5 და 78,5 მ).

ჟევლანოვმა ამჯერად უხეიროდ იასპარეზა — XIX ადგილს დასჯერდა. ბოლო ტურის წინ კიაიუპკიოს 736,6 ქულა ჰქონდა, შემდეგ მოდიოდნენ შმიდტი — 697,2 ქულა და ჰიონლი — 676,2 ქულა.

უკანასკნელი, მეოთხე ტური ლე-ლოკლის ტრამპლინზე მოეწყო. ისევე როგორც წინა სამ ტრამპლინზე, აქაც დამაჯერებლად ხტებოდა კიაიუპკიო. ამჯერად მან 83,5 და 77,5 მეტრზე იფრინა და 236,3 ქულა დააგროვა. II ადგილზე გავიდა შმიდტი — 235,5 ქულა (83,5 და 79,5 მ), III — კოდეიშკა — 231,0 ქულა (83 და 77,5 მ).

მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: ბაჰლერი—230,0 ქულა (83 და 77,5 მ), პავლუსიაკი — 229,5 ქულა (81 და 79,5 მ) და ჰიონლი — 227,0 ქულა (81 და 77 მ). ჟევლანოვმა, რომელიც გშტადის ტრამპლინზე XIX ადგილზე გავიდა, ფაქტიურად უკვე მაშინ დაკარგა ათეულში მოხვედრის შანსი.

„შვეიცარიული ტურნეს" საბოლოო საპრიზო სამეული ასეთია: I — ტ. კიაიუპკიო (ფინეთი) — 972,9 ქულა; II — ჰ. შმიდტი (შვეიცარია) — 932,7 ქულა; III — კ. კოდეიშკა (ჩეხოსლოვაკია) — 903,2 ქულა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

5 ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 11278